# ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

# ოქმი N60

ქ.თბილისი

14 ივლისი, 2020 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| მიხეილ ამაშუკელი | გულია გოცირიძე |
| რამინა ბერაძე | გიორგი დოხტურიშვილი |
| ოთარ გრიგოლია | თევდორე ისაკაძე |
| ბექა დავითულიანი | ანა ლაშხი |
| ლევან დარახველიძე | შალვა ოგბაიძე |
| ერეკლე კუხიანიძე | ვაჟა ოთარაშვილი |
| ნინო ლაცაბიძე | ნინო რუხაძე |
| ზაზა მამალაძე | ვახტანგ შაქარიშვილი |
| გიორგი მუსხელიშვილი | გიორგი ჩაკვეტაძე |
| თინათინ ნიბლოშვილი | ვლადიმერ ძნელაძე |
| ლევან ჟორჟოლიანი | ჯაბა ჯიშკარიანი |
| დათო რურუა | ალექსანდრე ხუჯაძე |
| რევაზ სოხაძე | დავით ჭელიძე |
| დავით უთმელიძე | ილია ჯიშკარიანი |
| ავთანდილ ცინცაძე | ქეთევან ჯოხაძე |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ზაზა მამალაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ვაჟა ოთარაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125$^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135$^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135$^2$ მუხლებით, 135$^3$ მუხლის პირველი ნაწილით, 135$^4$ და 135$^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125$^2$ მუხლით და 135$^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ

შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის $M_3$ კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

13. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

14. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

15. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

17. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

21. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.767) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

29. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

30. „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ.: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ.: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობების დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს შემადგენლობას უერთდება ორი ახალი წევრი, ზაზა მამალაძე და ვაჟა ოთარაშვილი, რომლებსაც წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და იმედი გამოთქვა, რომ მათთან თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და თბილისის კეთილდღეობისკენ მიმართული.

1. „ზაზა მამალაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ვაჟა ოთარაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები გამოწვეულია „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19" პანდემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით. წარმოდგენილი პროექტით შემოსავლების ნაწილში მცირდება: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, სპეც.ტრანსფერი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავალი. აქვე, წარმოდგენილია ბიუჯეტის ზრდა რამდენიმე მიმართულებით: გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ-ებიდან, კომერციულ ბანკებში განთავსებულ თავისუფალ სახსრებზე მისაღები პროცენტები და პრივატიზების გეგმა. გაიოზ თალაკვაძის თქმით, შემცირება შეეხო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფაქტობრივად ყველა პროგრამას, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის შემცირება 137332000 ლარით და 2020 წლის ბიუჯეტის ახალი ნიშნულია 1101648000 ლარი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი მცირდება არსებული სამწუხარო ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე, თუმცა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შენარჩუნებულია ყოვლად გაუმართლებელი ხარჯი, რომელიც გულისხმობს ერთ-ერთი კერძო კომპანიისთვის 30000000 ლარად 300 ერთეული ე.წ. „ყვითელი მარშუტკის" შეძენას, რაც, მისი თქმით, გაუმართლებელი და დაუშვებელია, როგორც სატრანსპორტო პოლიტიკის კუთხით, ასევე, სამართლებრივად, რადგან აღნიშნული არ წარმოადგენს არც კაპიტალურ და არც სოციალურ ხარჯს. აქვე განაცხადა, რომ ზემოთ ხსენებული კერძო კომპანიის მფლობელი ხვიჩა მაქაცარია, 2012 წელს, „ნაციონალური მოძრაობის" სახელით, აშინებდა და აიძულებდა სხვადასხვა კომპანიებს, რომ ინტერესთა გამოხატვაში და აუქციონში არ მიეღოთ მონაწილეობა და სწორედ ამ ხერხით მოიპოვა სატრანსპორტო სფეროში მონოპოლია. ვახტანგ შაქარიშვილმა მისი კოლეგების, ქალაქის მერის და მთავრობის წარმომადგენლების დაპირისპირებას „ნაციონალურ მოძრაობასთან" „ფსევდო დაპირისპირება" უწოდა, რადგან იმის ნაცვლად, რომ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში დასრულებულიყო კორუფციული და დანაშაულებრივი სქემები, მმართველობის რვა წლის შემდეგ, „ახალ გამოვლინებებს ჰპოვებს“. ვახტანგ შაქარიშვილმა ასევე, ისაუბრა ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში, პრივატიზების კუთხით წარმოდგენილ რვა მილიონიან ზრდაზე, რომლის დიდი ნაწილი ეხება მუნიციპალური პოლიკლინიკების პრივატიზებას და განაცხადა, რომ „ეს არის ნაციონალური მოძრაობის ხელწერა და იმ მავნე პრაქტიკის გაგრძელება, რასაც ჰქვია ჯანდაცვის სფეროს სრული მონოპოლიზაცია“, რაც არ არის კარგი გადაწყვეტილება. მისთვის გაუგებარია ქალაქის მერის განცხადება, რომ მუნიციპალური პოლიკლინიკების გაყიდვა გამოწვეულია იმით, რომ ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხები მათ გასარემონტებლად და ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად, რადგან თუ ეს ასეა, მაშინ რა არის ის ოცდაათი მილიონი ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს ხვიჩა მაქაცარიას კომპანიის გამდიდრებას და ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, საკრებულოს მიმდინარე სხდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მარტო ბიუჯეტის პროექტის განხილვის, არამედ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილი ზონალური ცვლილებების განხილვის გამოც და მისი აზრით, დღევანდელ სხდომას უნდა ესწრებოდნენ ქალაქის მერი და მისი მოადგილეები, თუ ისინი პატივს სცემენ საკრებულოს, როგორც ინსტიტუციას და დედაქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველ ორგანოს.

ბექა დავითულიანმა ბიუჯეტის თანხით მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სატრანსპორტო კვლევის შედეგად, ამ ეტაპზე, მიკროავტობუსი არის მგზავრთა გადაყვანის ერთ-ერთი მთავარი ტრანსპორტი, რომელთა უმრავლესობა, ტექნიკური თვალსაზრისით, ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ორი გზა არსებობს: ერთი - კომპანია თავად უზრუნველყოფს მიკროავტობუსების შეძენას ან არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას, რაც გამოიწვევს მიკროავტობუსით მგზავრობის საფასურის გაძვირებას, რისი სამართლებრივი უფლებაც მას აქვს და მეორე - ბიუჯეტის სახსრებით მოხდეს ამ მიკროავტობუსების ჩანაცვლება, რომლებსაც მომავალი წლიდან ნელ-ნელა გამოისყიდის კომპანია. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მხრიდან, გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეებს დამატებით ტვირთად არ დააწვეთ მიკროავტობუსით მგზავრობის საფასურის გაძვირება. რაც შეეხება პოლიკლინიკებს, ვახტანგ შაქარიშვილის მოსაზრებას გაიზიარებდა იმ შემთხვევაში, ქვეყანაში რომ იყოს ჯანდაცვის ძველი სისტემა, თუმცა დღეს, საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში, როდესაც მოქალაქეების დაფინანსება ხდება სახელმწიფოს მხრიდან, კლინიკის შენახვასთან ერთად მოსახლეობის ჯანმთელობის დაფინანსება, ორმაგი ხარჯია, როგორც მენეჯმენტის, ასევე ხარჯის კუთხით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური კლინიკების გაყიდვის შემთხვევაში, მათ ამუშავებს კერძო სექტორი, თუმცა მოქალაქეების მკურნალობის ხარჯებს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, აანაზღაურებს სახელმწიფო.

ირაკლი ზარქუამ მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მიზანი იყო მოსახლეობისთვის კომფორტული მგზავრობის უზრუნველყოფა, მგზავრობის ტარიფის გარზდის გარეშე და ამ მიზნის მისაღწევად, ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებაა, 1500 მიკროავტობუსის ნაცვლად, რომელიც არ სჭირდება დედაქალაქს, მუნიციპალიტეტმა შეისყიდოს 300 ერთეული მიკროავტობუსი, კომპანიის მხრიდან საბოლოო გამოსყიდვის პირობით. რაც შეეხება ქალაქის მერის მიერ დაანონსებულ მუნიციპალური პოლიკლინიკების პრივატიზების საკითხს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ინვესტიციის განხორციელება, კლინიკების პროფილის და იქ დასაქმებული პერსონალის შენარჩუნება. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი კლინიკის შენობაში ცხოვრობენ ე.წ. „შეჭრილები“ და დევნილები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდება ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილება მორგებულია დედაქალაქის და მოსახლეობის ინტერესებზე.

გიორგი ტყემალაძემ კომენტარი გააკეთა ვახტანგ შაქარიშვილის განცხადებაზე, რომ ქალაქის მერი პატივს არ სცემს საკრებულოს, როგორც ინსტიტუციას და განაცხადა, რომ თბილისის

ბიუჯეტში ცვლილებებს საკრებულო წელიწადში რამდენჯერმე განიხილავს და როგორც წესი, აღნიშნულ საკითხს საკრებულოში წარადგენს მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი და არა ქალაქის მერი და ეს არ ნიშნავს ინსტიტუციის უპატივცემულობას. ხოლო საკრებულოს მხრიდან მოთხოვნის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერიც და მისი მოადგილეებიც მოდიან საკრებულოში, წარადგენენ საკითხებს და პასუხობენ დასმულ შეკითხვებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო 17 საკითხი (მე-4 საკითხიდან მე-20 საკითხის ჩათვლით) ეხება საკრებულოს დადგენილებებში ერთი და იმავე შინაარსის ცვლილებების განხორციელებას. კერძოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციის შედეგად, შეიცვალა სამსახურის სახელწოდება, რამაც თავის მხრივ, საჭირო გახადა საკრებულოს რამდენიმე დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე–$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–$135^2$ მუხლებით, $135^3$ მუხლის პირველი ნაწილით, $135^4$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის $M_3$ კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, წესით დადგენილ შეზღუდვებს ემატება არეალები და ლოკაციები, სადაც აკრძალული იქნება მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია. ასევე, დაუშვებელი იქნება ზემოთ ხსენებული მასალების განთავსება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულ შემდეგ შეზღუდვით ზონებში, ფენებსა და კონტურებში: ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა, წყლის ობიექტების სანიტარიული არეალები, გარემოს დაცვითი ზონა 3 და მდინარეთა შეტბორვის არეალი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს უფლებამოსილება, V კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული მშენებლობისას, გამოიყენოს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, თუ ზემოთ ხსენებული მშენებლობისას საჭირო იქნება განაშენიანების ინტენსივობის მატება, ინვესტორს არ მოეთხოვება კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა, რაც თავის მხრივ, შეამცირებს ინვესტორის ხარჯებს და მუნიციპალიტეტს აღარ მოუწევს ინვესტორისთვის დამატებითი ფართების გადაცემა, გაწეული ხარჯის სანაცვლოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები: ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, შეზღუდვის არეალებში მდებარე გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთებისთვის განვითარების სავალდებულო პირობა აღარ იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება და შემდეგ დამტკიცება; ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის კონკრეტული მიზნობრიობით განვითარებისთვის და ამ შემთხვევაში, დაფიქსირდება კ-1 კ-2 და კ-3 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები; კ-3 კოეფიციენტით განსაზღვრულ ფართობში, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, არ შედის ცალკე გამოყოფილი 10 კვ.მ. და ნაკლები ფართობის მქონე გამწვანებული ტერიტორია; საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში შესაძლებელი გახდება თითოეული სახეობისთვის დასაშვები პროცენტული მაჩვენებლების არა მხოლოდ შენობა-ნაგებობის, არამედ, ასევე, საპროექტო წინადადების ფარგლებში განხილვა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ზონის მიწის ნაკვეთის მინიმალურ ფართობად განისაზღვრება 1000 კვ.მ.; ყველა ქვეზონისთვის დასაშვები იქნება ჰიდრო ელექტროსადგურებისა და განახლებადი ენერგიისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების განთვასება; გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვისას, საზოგადოებრივი სივრცის მხარეს, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 0.8 მეტრს; ერთი წლით გაუგრძელდება ვადა შეზღუდვების არეალში გაცემულ სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, რომლებმაც ვადა დაკარგეს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებების გამო დაწესებულ შეზღუდვების პერიოდში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032018473-03 თარიღი: 02.07.2020; N12-03201851-03 თარიღი: 03.07.2020; N12-032019183-03 თარიღი: 09.07.2020; N12-032019533-03 თარიღი: 13.07.2020; N12-032017048-03 თარიღი: 18.06.2020. საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მუნიციპალური მიწის ნაკვეთებისთვის დღეს მოქმედი ფუნქციური ზონის სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032019183-03 წერილის მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, მე-16, მე-17, 21-ე, 22-ე, 23-ე და 24-ე პოზიციებით წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებს უნარჩუნდებათ აქამდე მოქმედი სატყეო ზონის სტატუსი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალზე განვითარებულია სასაწყობე კომპლექსი. წარმოდგენილი წინადადებით, დაგეგმილია სამი სასაწყობე და ერთი საოფისე შენობის განთავსება, რაც მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული განაშენიანებიდან გამომდინარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.767) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 44000 კვ.მ., საიდანაც 22000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სარეკრეაციო ზონა. დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი ზონა 3-ის ფარგლებში, კ-2 კოეფიციენტის არასრული ათვისებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 58.40 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1991-1992 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71.16 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც დაახლოებით 30 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 174.33 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელთაგან ერთი 1997 წლიდან, ხოლო მეორე 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ.: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ.: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთის თანასაკუთრებაში გადაცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 98 პირისთვის და ოთხი ე.წ. „შეჭრილისთვის", რომლებსაც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, პროექტის განხორციელების შემდეგ, გადასცემს 7500 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ზაზა მამალაძემ სურვილი გამოთქვა გაწევრიანდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიასა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში, ხოლო ვაჟა ოთარაშვილმა - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და განათლებისა და კულტურის კომისიაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 22 დადგენილება და 9 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი